



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



31/08/2018

40-07-4-201808311631



N 40

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №40
2018 წლის 31 აგვისტო
ქ. ლანჩხუთი**

„გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის №33
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის №33 დადგენილების (ცებგვერდი 10/08/2015წ, სარეგისტრაციო კოდი: 240120100.35.112.016234) მეორე მუხლით დამტკიცებულ დანართ N1-ში „გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის წესი“ შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) მე-2 მუხლის „ე“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გამცემი – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია;“

ბ) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მოსაპოვებლად აუქციონი ცხადდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ხოლო აუქციონის ჩატარების ორგანიზებას უზრუნველყოფს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით შექმნილი მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისია.“

გ) მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან/და სხვა უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების საკითხი (პროექტის შეთანხმება) საჭიროებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებას.“

დ) მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან/და სხვა უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების შეთანხმების საკითხზე გადაწყვეტილების პროექტს ამზადებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურები.“

ე) მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კონტროლი სანებართვო პირობების შესრულებაზე ან ნებართვის გაცემის გარეშე გარე რეკლამის განთავსებაზე ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სათანადოდ უფლებამოსილი სამსახურის მიერ.“

მუხლი 2. დადგენილება მოუქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

